უფასო

ჩვენი გაზეთი

20 აგვისტო
2018 წელი

№5 (33)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი

საქმიანი ვიზიტი პოლონეთში

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ გოგსაძე, საკრებულოს თავმჯდომარე შალვა მშვილდაძე, მერის პირველი მოადგილე კახა ენუქიძე, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი და ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელი გია ხორავა საქმიანი ვიზიტით პოლონეთის ქალაქ ლისომიცეში იმყოფებოდნენ. ჩვენს მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ლისომიცეს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გასულ წელს გაფორმდა ბაღდათში, ხოლო მისი რატიფიცირება, წელს, მათი ლისომიცეში ვიზიტის დროს მოხდა. ბაღდათის დელეგაციის წევრები პოლონეთში 4 დღე იმყოფებოდნენ, ვიზიტის ფარგლებში ლისომიცეს პირველ პირებს შეხვდნენ და იქ გამართულ კონფერენციებში მიიღეს მონაწილეობა. პოლონეთში ვიზიტის დეტალებზე „ჩემი გაზეთი“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერს – არჩილ გოგსაძეს ესაუბრა.

ჩვენი დელეგაცია პოლონეთში საქმიანი ვიზიტით პოლონეთში 4 დღით გაემგავრა. აეროპორტში თავად ლისომიცეს მერი დაგვხვდა და გულთბილად გვიმასპინძლა. ამ ხნის განმავლობაში ვხვდებოდით ქალაქის პირველ პირებს, ვესწრებოდით კონფერენციებს. ლისომიცეს გარდა ვსტუმრობდით იუნესკოს დაცვის ქვეშ მყოფ ისტორიულ ქალაქ ტორუნს, სადაც საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე მდებარეობს თავისუფალი ეკონომიკური ზონა. აქ 15 საწარმოა განთავსებული და ხდება რამდენიმე სახის ტექნიკის წარმოება. თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში 3000 კაცამდეა დასაქმებული. ვიზიტის ფარგლებში დავათვალიერეთ ქალაქის ღირსშესანიშნაობები, ვიმყოფებოდით SHARP-ის ტელევიზორების საწარმოში. მოვინახულეთ მსხვილი ფერმერი, რომლის ფერმაშიც 25 კაცია დასაქმებული, მას რძის დიდი წარმოება აქვს (ყოველ ორ დღეში 27 ტონა რძეს აბარებს) და ყველაფერი მექანიზებულია. ფერმერს თავადვე მოჰყავს პირუტყვის საკვები. ჩვენმა დელეგაციამ ფერმერისგან საკმაოდ კარგი წინდადება მიიღო – მესაქონლეობითა და მასთან დაკავშირებული საკითხებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს შეუძლიათ მასთან ჩასვლა, ის უსასყიდლოდ შეასწავლის ყველაფერს და, სურვილის შემთხვევაში, შეეძლებათ ფერმაში მუშაობის დაწყება.

ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის ფაქტი, რომ ლისომიცესა და ბაღდათს შორის იწყება საგამანათლებლო პროექტი, რომლის ფარგლებშიც, სექტემბერში, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 13 მოსწავლე და ორი მასწავლებელი, ერთი კვირით, გაემგზავრება ქალაქ ლისომიცეში, ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში და გაეცნობიან მათი სკოლის სპეციფიკას. ამ პროექტში აქტიურად არის ჩართული ბაღდათის საგანმანათლებლო რესურსცენტრი. მოსწავლეების შერჩევა მოხდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: უნდა იყოს წარმატებული მოსწავლე და კარგად უნდა იცოდეს ინგლისური ენა (როგორც მოსწავლის, ისე პედაგოგის შემთხვევაში). მომავალში იგეგმება ამ ქალაქთან კულტურული თანამშრომლობა – იქაურ ფესტივალებში მონაწილეობის მიღება, მათი ჩამოსვლა ჩვენს მუნიციპალიტეტში და, ვიმედოვნებთ, კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობასთან ერთად სამომავლოდ ეკონომიკური ურთიერთობაც გვექნება. იმედი გვაქვს, ბაღდათში შევძლებთ იმ რაოდენობის პროდუქციის წარმოებას, რომ ქალაქ ლისომიცეში გავიტანოთ გასაყიდად. ამისათვის, ჩემი აზრით, საჭიროა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში მომუშავე მეწარმეების გაერთიანება, ვინაიდან გაერთიანებები უფრო მეტი რაოდენობის ღვინოს, თაფლს თუ სხვა სახის ნაწარმს შექმნის, ვიდრე თითოეული ცალ-ცალკე.

ლისომიცეს მხრიდან დიდია დაინტერესება ტურიზმის კუთხითაც, მაგრამ ბაღდათში ტურისტული კომპანიის არარსებობა გარკვეულ ბარიერს ქმნის. ეს საკითხი მუნიციპალურ დონეზე ვერ გადაწყდება. მოვუწოდებ ახალგაზრდებს, იფიქრონ ამ მიმართულებით, მათ წამოწყებას, ჩვენი მხრივ, ყველანაირად შევუწყობთ ხელს, მითუმეტეს, ჩვენს მუნიციპალიტეტს ტურისტული პოტენციალი აქვს. ჩვენთან ტურისტული კომპანიის გახსნა ხელს შეუწყობს პოლონეთიდან ტურისტების ჩამოსვლას ბაღდათში. მას კავშირი ექნება ლისომიცეს ტურისტულ კომპანიასთან, შესთავაზებს სხვადასხვა სახის ტურს და ეს ყოველივე ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

პოლონეთის ქალაქ ლისომიცესთან დამეგობრება პირველი ეტაპია და მომავალში სხვა ქვეყნებთან ურთიერთთანამშრომლობასაც ველოდებით, ეს ყოველივე ძალზე მნიშვნელოვანია ბაღდათის მუნიციპალიტეტისთვის და ამის სურვილი გვაქვს როგორც ჩვენ, ისე მეორე მხარეს.

მარიამ ოქროჭელიძე

საერთო სახალხო დღესასწაული „ზეკარობა – 2018“

11 აგვისტოს ზეკარის უღელტეხილზე, დიდმაღალის ქედზე, საერთო სახალხო დღესასწაული „ზეკარობა“ გაიმართა. მთის დღესასწაული ბაღდათის მუნიციპალიტეტში გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან აღინიშნებოდა. გარკვეული პერიოდი სახალხო დღესასწაული დავიწყებას მიეცა. იგი 2015 წელს აღდგა, ტრადიციული სახე მიიღო და აგვისტოში ბაღდათისა და ადიგენის მუნიციპალიტეტების მეგობრობის ნიშნად ყოველ წელს იმართება.

ღონისძიების ფარგლებში ე.წ „ქვასაყდარას“ ქედზე მოეწყო დოღი და რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა. მობრძანებულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ მუნიციპალიტეტში ნაწარმოები პროდუქტები და სხვადასხვა სახის ღვინო დაეგემოვნებინათ, ასევე ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების მიერ შესრულებული ხალხური სიმღერები მოესმინათ.

ქუთაისი (საღორია)–ბაღდათი–აბასთუმანი–ბენარას საავტომობილო გზის რეაბილიტაცია იწყება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენსა და შპს „საქმილსადენმშენს“ შორის 2018 წლის 31 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი(საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის ბაღდათი-აბასთუმნის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების ფარგლებში წყალთაშუა-კაკასხიდის მონაკვეთის კმ1-კმ10 მონაკვეთის რეაბილიტაციას. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 7 592 245 ლარს. აღნიშნულ პროექტზე სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება და, ხელშეკრულების თანახმად, 2019 წლის 31 ივლისის ჩათვლით უნდა დასრულდეს.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით 2018 წლის ინფრასტრუქტურულ პროექტებს შესაძლოა კიდევ 2 პროექტი დაემატოს. ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსის კახა მსხვილიძის თქმით, სოფელ ზედა დიმში ე.წ. წყაროს უბნისა და სოფელ დიმში ნერგაძეების უბანში საავტომობილო გზების რეაბილიტაციის შესახებ მოთხოვნა გაგზავნილია შესაბამის უწყებებში და, იმედოვნებენ, რომ საკითხი დადებითად გადაწყდება. პროექტების საერთო ღირებულება ამ ეტაპზე 317 340 ლარს შეადგენს და სრულად დაფინანსდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან. სამუშაოები 2018 წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს.

ანა ძორიძე

10 წელი ვგვიცდიან ომიდან

რუსეთ-საქართველოს ომიდან 10 წელი გავიდა. ხუთდღიანმა ომმა საქართველოს 408 მოქალაქე იმსხვერპლა: 170 სამხედრო მოსამსახურე, შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 თანამშრომელი და 224 მშვიდობიანი მოქალაქე. 2008 წელს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ზონებში განხორციელებული აგრესიის შედეგად დაჭრილ/დაშავებულ პირთა რაოდენობა შეადგენს 2 232-ს. მათ შორის, სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, შეადგენს 1045-ს. აღნიშნული მონაცემები IDFI-ის მიერ წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა საჯარო დაწესებულებიდან (თავდაცვის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო) მოწოდებული დოკუმენტაციასა და პროაქტიულად ოფიციალურად განთავსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ბაღდათის მუნიციპალიტეტიდან ომში 100-ზე მეტი სამხედრო პირი მონაწილეობდა, მათგან 2 – ფელიქს კაკაურიძე და ზვიად კაცაძე გმირულად დაიღუპა. მათ პატივსაგებად, 8 აგვისტოს, სოფელ დიმში ერთ-ერთ ქუჩას ფელიქს კაკაურიძის, ხოლო სოფელ როხში ზვიად კაცაძის სახელი ეწოდა. მათ საფლავებზე კი მამა მიქაელმა (გიორგობიანი) და მამა მაკარმა (აბესაძე) სხვა სასულიერო პირებთან ერთად სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს.

ამ დღესთან დაკავშირებით ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმში საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალი მერმა – არჩილ გოგსაძემ იმერეთის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელ გრიგოლ დალაქიშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გახსნა.

საქართველოში 2018 წლის 28 ოქტომბერს რიგით მეშვიდე საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება.

საქართველოს პრეზიდენტი ირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან. ამავდროულად, მას საქართველოში 5 წელი მაინც უნდა ჰქონდეს ნაცხოვრები და არჩევნების დანიშვნის დღისთვის კი ბოლო 3 წელი. ერთი და იგივე პირი საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. არჩეულად ჩაითვლება საქართველოს პრეზიდენტობის ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.

საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

№ 42 43 08/08/2018

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად შენობა-ნაგებობებისა და სააგიტაციო მასალების გასაკრავად ადგილების გამოყოფის შესახებ

„საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლის მე-9 ნაწილის, ამავე კანონის 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. საარჩევნო კამპანიის პერიოდში პოლიტიკურმა სუბიექტებმა, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და შეკრებების ჩასატარებლად თანაბარი პირობებით შეუძლიათ ისარგებლონ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი შენობა-ნაგებობებით:

   ა) არასამეწარმეო(არაკომერციული) იურდიული პირი-„ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“-ს სარგებლობაში არსებული:
   ა.ა) რ. ლაღიძის სახელობის კულტურის სახლის შენობით (ქ. ბაღდათი კახიანის ქ. N 1);
   ა.ბ) ახალგაზრდული ცენტრის შენობით (ქ. ბაღდათი რუსთაველის ქ. N 31)
   ა.გ) სამუსიკო-სახელოვნებო ცენტრის შენობებით (ქ. ბაღდათი რუსთაველის ქ. N 36; და სოფ. წითელხევი, სახელოვნებო სკოლის შენობა);
   ა.დ) ბიბლოთეკის შენობა;
   ბ) არასამეწარმეო(არაკომერციული) იურდიული პირი-„ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი“-ს დარბაზი (მისამართი: ქ. ბაღდათი ნინოშვილის ქ. N 6);
   გ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-„ბაღდათის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი საირმე“-ს შენობა;
   დ) არასამეწარმეო(არაკომერციული) იურდიული პირი-„ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების“ შენობა.

   ე) სოფ. დიმის ყოფილი კულტურის სახლის შენობა (მისამართი: სოფ. დიმის ადმინისტრაციული ერთეული);
   ვ) სოფ. წითელხევის ყოფილი კულტურის სახლის შენობა (მისამართი: სოფ. წითელხევის ადმინისტრაციული ერთეული);
   ზ) სოფ. ვარციხის ყოფილი კულტურის სახლის შენობა (მისამართი: სოფ. ვარციხის ადმინისტრაციული ერთეული);
   თ) სოფ. პირველი ობჩის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობა (მისამართი: სოფ. პირველი ობჩის ადმინისტრაციული ერთეული);
   ი) სოფ. საკრაულას ადმინისტრაციული ერთეულის შენობის პირველი სართული (მისამართი: სოფ. საკრაულას ადმინისტრაციული ერთეული);
   კ) სოფ. ზეგნის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობა (მისამართი: სოფ. ზეგნის ადმინისტრაციული ერთეული);
   ლ) სოფ. როკითის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული (მისამართი: სოფ. როკითის ადმინისტრაციული ერთეული);
   მ) სოფ. როხის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული (მისამართი: სოფ. როხის ადმინისტრაციული ერთეული);
   ნ) სოფ. მეორე ობჩის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობა (მისამართი: სოფ. მეორე ობჩის ადმინისტრაციული ერთეული);
   ო) სოფ. ფერსათის ადმინისტრაციული ერთეულის ყოფილი კულტურის სახლის შენობა (მისამართი: სოფ. ფერსათის ადმინისტრაციული ერთეული);

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ საზღვრებში (ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე) წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებული საარჩევნო მასალების გასაკრავ-გამოსაფენ ადგილებად გამოიყოს;
   ა) მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი სტენდები სააგიტაციო მასალებისათვის (თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას ერთი ცალი საარჩევნო პლაკატი ზომით არაუმეტეს: სიგრძე 60 სმ, სიგანე 42 სმ (A) ფორმატი;
   ბ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სამგზავრო ტრანსპორტის მოსაცდელებში;
   გ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ გარე განათების ელექტრო ბოძებზე;
   დ) საამშენებლო ტერიტორიების შემომსაზღვრელ დროებით ღობეებზე;

3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აიკრძალოს სააგიტაციო მასალებისა და პლაკატების გაკვრა შემდეგ შენობა-ნაგებობებზე:
   ა) საკულტო ნაგებობებზე;
   ბ) კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლებზე და შენობა-ნაგებობებზე;
   გ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებულ ადმინისტრაციულ შენობებზე (საბავშვო ბაგა-ბაღების, სამედიცინო ამბულატორიის შენობა-ნაგებობები);
   დ) სასამართლოების, სამხედრო შენაერთების, იუსტიციის სახლების, პოლიციის, სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობა-ნაგებობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში;
   ე) საგზაო ნიშნებზე.
   ვ) საავტომობილო გზების გასწვრივ არსებულ მრავალწლიან ნარგავებზე.

4. ამ განკარგულების მეორე მუხლით განსაზღვრული ადგილების(ობიექტების) გარდა, სააგიტაციო მასალა შეიძლება აგრეთვე გამოიფინოს სხვა შენობა-ნაგებობებსა და ობიექტებზე (გარდა მე-3 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

5. შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია, არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა.

6. ამ განკარგულების დარღვევის შემთხვევაში პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. დაევალოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს, განკარგულების ქსეროასლი გადაუგზავნოს N 52 ბაღდათის საოლქო საარჩევნო კომისიას და უზრუნველყოს განკარგულების განთავსება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე და გამოქვეყნება ადგილობრივ ბეჭდით ორგანოში.

8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო აგიტაციის ჩასატარებლად და საარჩევნო სააგიტაციო მასალების გასაკრავად ადგილების გამოყოფის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს N 42 36 განკარგულება.

9. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

10. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს 3 დღის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, მისამართზე: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. N 11.

შალვა მშვილდაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

„ძლიერი საქართველო“

1121 წლის 12 აგვისტო ბევრისათვის შეიძლება ერთი უბრალო თარიღი იყოს, ბევრისათვის კი უდიდესი ბრძოლა საქართველოს ისტორიაში. ეს იყო დიდგორის ბრძოლა, სადაც დავით აღმაშენებლის მეთაურობით ქართველებმა თურქ-სელჯუკთა გაერთიანებული ურდო დაამარცხეს.

თურქ-სელჯუკები საქართველოში პირველად 1064 წელს, ბაგრატ IV-ის (1021-1072) მეფობის დროს გამოჩნდნენ ალფ-არსლანის მეთაურობით.

თურქთა შემოსევები განსაკუთრებით გააქტიურდა 1080 წელს, მეფე გიორგი II-ის დროს (1072-1089). ეს ეპოქა ცნობილია, როგორც „დიდი თურქობა“.

ვითარება იცვლება დავით IV აღმაშენებლის დროს. (1089-1125) მეფე დავითი გამეფებისთანავე პატარ-პატარა რაზმებით თავს ესხმის თურქებს და აიძულებს საქართველოდან წავიდნენ. ჯვაროსანთა ლაშქრობის დაწყება (1096) ხელს უწყობს დავითს, რომ უფრო გააქტიურდეს თურქების წინააღმდეგ, ხოლო 1099 წელს, მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს, თურქებს ხარკის მიცემა შეუწყვიტა.

1103 წელს დავით მეფემ თურქები დაამარცხა ერწუხის ბრძოლაში და კახეთ-ჰერეთი შემოიერთა. დავითმა უამრავი ციხე წაართვა თურქებს საქართველოში (სამშვილდე, ლორე, გიში და ა.შ.), სხვადასხვა წლებში დავითმა ბევრჯერ დაამარცხა საქართველოში შემოსული თურქთა არმიები.

ამდენი მარცხის შემდეგ თურქთა სულთანი მიხვდა, რომ ჯვაროსნებზე დიდი საფრთხე საქართველოდან მოდიოდა და მოუწოდა ყველა თურქულ სახელმწიფოს საქართველოს წინააღმდეგ გასაერთიანებლად. ამ გაერთიანებული ჯარის სარდალი გახდა ჯვაროსნების პირველად დამმარცხებელი ნეჯ ად-დინ ილღაზი და 1121 წელს ეს უზარმაზარი ურდო საქართველოში შემოიჭრა. დავით აღმაშენებლმა თბილისისაკენ მიმავალი ყველა გზა გადაკეტა გარდა დიდგორის ხეობისა. დავითმა ყველაფერი ჭკვიანურად დაგეგმა, თურქები ამ ვიწრობებში შეიტყუა და 1121 წლის 12 აგვისტოს სასტიკად გაანადგურა. ეს გამარჯვება იმდენად მოულოდნელი ყოფილა ქართველთათვის, რომ სამი დღე-ღამე სდევდნენ გაქცეულებს.

რა შედეგი ჰქონდა დიდგორს? უდიდესი. დიდგორის ომის შემდეგ დავითმა თბილისი (1122 წელი) აიღო და ფაქტობრივად დაასრულა ქვეყნის გაერთიანება. ამასთანავე, ამ ომის პირდაპირი შედეგი იყო საქართველოს ოქროს ხანა.

ვფიქრობ, დიდგორის ომი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთი ჩვეულებრივი ბრძოლა, ჩემი აზრით, დიდგორი მსოფლიო ომების ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია და არაფრით არ ჩამოუვარდება მარათონის ბრძოლას (ბერძენ-სპარსელთა ომის პერიოდში).

P.S. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი დიდგორის ომზე უფრო ფართო სტატიას ელოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გაზეთის ფორმატი არ მაძლევს იმის საშუალებას, რომ ეს მართლაც მნიშვნელოვანი ბრძოლა უფრო ვრცლად მიმეწოდებინა მკითხველისათვის.

ჯუანშერ გეგეშიძე

განათლება

წარმატებულ მოსწავლეებს ნოუთბუქები გადაეცემათ

2017-2018 წელს საბაზო საფეხურის წარჩინებით დამთავრებისათვის ექვსი საჯარო სკოლის 23 მოსწავლეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ნოუთბუქს გადასცემს. მათგან – ანი გოგსაძე, ზოი პოტამიტი, გიორგი თედეიშვილი, ნიკოლოზ თედეიშვილი, გეგა თავხელიძე და ზაალ ებანოიძე სსიპ- ქალაქ ბაღდათის №1 საჯარო სკოლაში სწავლობენ. სსიპ – ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლიდან ნოუთბუქს მიიღებს 11 მოსწავლე: ნათია გიორგიძე, მარიამ არწივიძე, გიორგი ტურაშვილი, გიორგი არწივიძე, ქართლოს არწივიძე, სალომე ბეროძე, ია გრძელიძე, მარიამ თავთავაძე, ვახტანგ კიკნაძე, მარიამ ტაბეშაძე და ანა ფაიქიძე. ქალაქის სკოლებს არც სოფლის სკოლები ჩამორჩებიან – სსიპ- ტარიელ კვირიკაშვილის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელხევის საჯარო სკოლიდან ნოუთბუქი გიორგი ბუიძეს, საბა კოტორეიშვილსა და ნიკა ნიორაძეს ერგოთ, სსიპ- ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ როხის საჯარო სკოლიდან – ნინო გაჩეჩილაძეს, სსიპ – ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმის №1 საჯარო სკოლიდან – ანა გორგოძეს, ხოლო სსიპ – გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლიდან – მარიამ გეწაძეს.

ახალი სასწავლო წელი

წელს სასწავლო წელი 17 სექტემბერს იწყება. ეს დღე განსაკუთრებით ამაღელვებელია იმ ბავშვებისათვის, რომლებიც სკოლაში პირველად მიდიან – მათთვის ხომ სკოლა ცხოვრების ახალი ეტაპის დასაწყისია, სადაც ისინი უცნობ ადამიანებს –ახალ ამხანაგებსა და პედაგოგებს გაიცნობენ.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს, დღეის მდგომარეობით, 240 პირველკლასელი ჰყავს. მათი რაოდენობა სკოლების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა (სასწავლო წლის დასაწყისში გარკვეული ცვლილებებია მოსალოდნელი):

- სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმის №1 საჯარო სკოლა – 18
- სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმის №2 საჯარო სკოლა – 8
- სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმის საჯარო სკოლა – 9
- სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარციხის საჯარო სკოლა – 17
- სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის №2 საჯარო სკოლა – 3
- სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე ობჩის საჯარო სკოლა – 4
- სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლა – 3
- სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლა – 2
- სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ როკითის საჯარო სკოლა – 7
- სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ როხის საჯარო სკოლა – 13
- სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლა – 2
- სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათის №1 საჯარო სკოლა – 4
- სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათის №2 საჯარო სკოლა – 9
- სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალთაშუის საჯარო სკოლა – 2
- სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანის საჯარო სკოლა – 8
- სსიპ - გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლა – 9
- სსიპ-კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელხევის საჯარო სკოლა – 4
- სსიპ-ტარიელ კვირიკაშვილის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელხევის საჯარო სკოლა – 19
- სსიპ-ქალაქ ბაღდათის №1 საჯარო სკოლა – 33
- სსიპ-ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლა – 66.

წარჩინებული კურსდამთავრებულები

ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2017-2018 სასწავლო წელი ოქროს მედალზე 13-მა მოსწავლემ დაამთავრა:

* სსიპ-ქალაქ ბაღდათის №1 საჯარო სკოლა – გიორგი გუმბერიძე და ლუკა მაშანეიშვილი;
* სსიპ-ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლა – ნატალია ბასილაძე, თეკლა იოსებაშვილი, ელენე და მარიამ ლილუაშვილები, რამაზ ნემსაძე და ნინო ნიჟარაძე;
* სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ როკითის საჯარო სკოლა – ირაკლი ზირაქაძე, ნინო ზივზივაძე და ოთარ ბრეგაძე;
* სსიპ-ტარიელ კვირიკაშვილის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელხევის საჯარო სკოლა – თეკლე ტაბეშაძე და შოთა გენელიძე.

ვერცხლის მედალი გურამ ენდელაძემ (სსიპ-ქალაქ ბაღდათის №1 საჯარო სკოლა) და მარიამ ფახურიძემ (სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარციხის საჯარო სკოლა) მოიპოვეს.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები საჯარო სკოლებში

როგორც ცნობილია, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდ – საქართველოს“ ერთ-ერთ პროექტში, რომელიც სკოლის სრულ რეაბილიტაციას გულისხმობს, სსიპ-ქალაქ ბაღდათის №2 საჯარო სკოლამ გაიმარჯვა. მიმდინარე წლის 18 ივნისიდან უკვე დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოები და 2019 წლის მარტში დასრულდება. პროექტის ღირებულებაა 650 000 დოლარი.

ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით 2018-2019 სასწავლო წელს კი შემდეგი პროექტები განხორციელდება:

* სსიპ-ქალაქ ბაღდათის №1 საჯარო სკოლაში საპირფარეშოს შენობის აგება;
* სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათის №2 საჯარო სკოლის მეორე კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია;
* სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმის №1 საჯარო სკოლის სპორტდარბაზის რეაბილიტაცია;
* სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ როკითის საჯარო სკოლაში საპირფარეშოს რემონტი.

მარიამ ოქროჭელიძე

ყურადღების თვალით დანახული საქართველო

ამერიკული ჟურნალის „Forbes“-ის ერთ-ერთი ჟურნალისტი, მოგზაურობის ექსპერტი ანნ აბელი აქვეყნებს სტატიას საქართველოს შესახებ, რომელშიც მას „სიყვარულის და ღვინის“ ქვეყანას უწოდებს. ის თავის წერილში განმარტავს, თუ რატომ უნდა იმოგზაურო ამ ქვეყანაში.

„როდესაც ჩემს მეგობრებს ვეუბნებოდი, რომ საქართველოში მსურდა მოგზაურობა, ზოგიერთს ჯორჯია შტატი ეგონა. სხვები მეკითხებოდნენ, თუ რამდენად უსაფთხოა ეს ქვეყანა, ზოგს, უბრალოდ, შურდა, დანარჩენები კი მიამბობდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოგზაურობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებზე.“ – გვიამბობს აბელი.

ავტორი სტატიაში გვიმხელს, რომ მას ქართული სამზარეულო ძალიან მოეწონა. აბელი ხუმრობით აღნიშნავს, რომ ერთმა მისმა ნაცნობმა მოგზაურობაში „კომფორტული ტანსაცმელის“ წაღება ურჩია, რადგან საქართველოში ისეთი გემრიელი კერძებია, რომ მათ დაგემოვნებაზე უარს ვერ იტყვის და, შესაძლოა, წონაშიც მოიმატოს.

„ამ ქვეყანაში, რომელიც მდებარეობს ევროპისა და აზიის გასაყარზე, შესანიშნავი და მრავალფეროვანი კერძებია. ვახშამს საქართველოში „სუფრა“-ს უწოდებენ, რომლის მართებული თარგმანი „ლხინი“ იქნება. ქვეყანაში არსებობს გამოთქმა „სტუმარი ღვთისაა“, რაც ქართველების სტუმართმოყვარეობაზე მიანიშნებს. ანნ აბელი აღნიშნავს: „ქართული ტრადიციული თონეში გამომცხვარი პური იმდენად გემრიელია, რომ ყოველდღე გიჩნდება მისი დაგემოვნების სურვილი. განსაკუთრებით გამოყოფს კიტრის და პომიდვრის სალათას, რომელსაც თითქმის ყველა კერძთან ერთად მიირთმევენ.

„საქართველო ითვლება ღვინის სამშობლოდ, რისი დასტურიც არის მეღვინეობის ათასწლოვანი ისტორია. ქვეყანაში არსებობს ყურძნის 500-ზე მეტი ჯიში. მეღვინეები, რომლებიც აწარმოებენ ტრადიციულ ქვევრის ღვინოს, თავიანთი ნაწარმით საკმაო კონკურენციას უწევენ თანამედროვე ტექნოლოგიებით დამზადებულ ღვინოებს. „ქართული ღვინო ნატურალური და ძალიან გემრიელია“ – წერს აბელი. ავტორი ვარაუდობს, რომ ზუსტად ეს ჯადოსნური სასმელი და გემრიელი და ტრადიციული კერძები იზიდავს უამრავ ტურისტს ამ ქვეყანაში.

ჟურნალ „Forbes“-ის ჟურნალისტი, როგორც ჩანს, საქართველოს ბუნებამაც ძალიან მოხიბლა. ის თავის წერილში წერს: „კავკასიის მთები ძალზე თვალწარმტაცია მთის კალთებზე შეფენილი ულამაზესი სოფლებითა და ძირძველი ეკლესიებით. საქართველო მდიდარია ბუნებრივი და გოგირდოვანი წყლებით, რომელთაც სამკურნალო თვისებები აქვთ“.

მოგზაურობის ექსპერტმა საქართველოს დედაქალაქიც მოინახულა. მისი თქმით, თბილისი, მრავალი შემოტევის მიუხედავად, კვლავ აღგდა როგორც კოსმოპოლიტიკური ადგილი. ამ ქალაქში თანამედროვე და ისტორიული არქიტექტურა იდეალურად არის შერწყმული მდიდარ ქართულ კულტურასთან.

ნინო სახამბერიძე

სპორტი

4-5 აგვისტოს აზერბაიჯანში, ქალაქ იმიშლში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, სადაც მონაწილეობას იღებდნენ აზერბაჯანის, რუსეთის, ირანის, უზბეკეთისა და საქართველოს ნაკრების სპორტსმენები. საქართველოს ნაკრებთან ერთად მიწვეული იყვნენ ბაღდათის ა.(ა).ი.პ. სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის მოჭიდავეები (ლუკა რურუა, დათო ბურჯანაძე, გიორგი თოლორდავა, გიორგი ბურჯანაძე, გურამ გუმბერიძე, ვახო მამაისეიშვილი, ლუკა აბულაძე, ლუკა მარშანია, მწვრთენელები: კოტე გურგენიძე, მევლუდ ჯიხვაძე, გია ჩხეტია). მონაწილეებმა წარმატებით იჭიდავეს, გუნდური ჩათვლით მესამე-მეოთხე ადგილი დაიკავეს და საპრიზო თასებითა და სუვენირებით დაჯილდოვდნენ. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი მაღალი დონის გასვლითი ტურნირი იყო ბაღდათელი მოჭიდავეებისთვის, რაც კარგია გამოცდილების მისაღებად და იგი მომავალში მეტი წარმატების საწინდარია.

დავით ყიფიანი

თვიდან თვემდე

***

ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა გოჩა ქვარიანის სახელობის ნარდისა და შაშის ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა. აღნიშნული ტურნირი ტრადიციულია და იგი წელს მეექვსედ ქუთაისის მერიის მხარდაჭერითა და შ.შ.მ.პირთა ორგანიზაცია „სრულფასოვანი ცხოვრებისათვის“ ინიციატივით გაიმართა. ჩემპიონატში შ.შ.მ. პირთა კავშირის „რწმენა და იმედი“-ს 10-მა წევრმა იასპარეზა, რომლებმაც სიგელები და საპრიზო ადგილები ღირსეულად დაიმსახურეს.

***

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით World Vision იმერეთის სამხარეო განვითარების პროგრამამ მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურთან ერთად ბაღდათის მუნიციპალიტეტში „City Game – დიდი თამაში“ გამართა. საქართველოს სკაუტური მოძრაობის იმერეთის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მოზარდებისთვის საინტერესო სპორტულ-შემეცნებითი აქტივობები განახორციელეს, რომელშიც ბაღდათის მუნიციპალიტეტის 15 ტერიტორიული ერთეულის 70-ზე მეტი ახალგაზრდა მონაწილეობდა. „City Game“ ღია სივრცეში მთელი დღის განმავლობაში მიმდინ-

არეობდა და ახალგაზრდებს საშუალება ჰქონდათ, თავიანთი შესაძლებლობები სხვადასხვა მიმართულებით გამოევლინათ. თამაშის გამარჯვებულ ორთავე გუნდის წევრებს კინო „საქართველოს“ კინოსეანსზე დასასწრები მოსაწვევები გადაეცათ.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კალათბურთის ტურნირი 3x3-ზე გაიმართა. მასში მონაწილეობდა როგორც ბაღდათის, ასევე იმერეთის რეგიონის რამდენიმე მუნიციპალიტეტის გუნდები. შეჯიბრში სულ წარმოდგენილი იყო 8 გუნდი, რომლებიც ორ ქვეჯგუფში გადანაწილდნენ. ფინალში ერთმანეთს ბაღდათისა და წყალტუბოს გუნდები შეხვდნენ და გამარჯვება სტუმრებს ხვდა წილად. საპრიზო ადგილზე გასული გუნდები სიმბოლური პრიზებით დაჯილდოვდნენ. საკალათბურთო ტურნირი ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ინიციატივითა და მხარდაჭერით გაიმართა.

***

პროექტ Check in Georgia-ს ფარგლებში გამართულ ფესტივალ „ფოლკლორის დღეებში“, 2 აგვისტოს, აუდიტორიის წინაშე წარსდგა ა.(ა).ი.პ ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბაღდათი“ და თბილისის გოგონათა გუნდი „იალონი“. მანამდე კი, 27 ივლისს, ანსამბლმა თავისი სოლო-კონტერტი

ბაღდათის რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის სახლში გამართა. ზღვისპირა ქალაქში ხალხური მუსიკისა და ცეკვის კონცერტები ყოველდღიურად იმართება. წარმატებული გამოსვლის შემდეგ ანსამბლი „ბაღდათი“ ფესტივალზე კვლავ მიიწვიეს და 20 აგვისტოს ისევ წარგდება მაყურებლის წინაშე.

სახელმწიფოს მხარდაჭერით პროექტი Check in Georgia უკვე მესამედ ტარდება. პროექტის ფარგლებში 2018 წელს დაგეგმილია მნიშვნელოვანი მუსიკალური და სხვა სახის შემეცნებით-გასართობი აქტივობები მთელი საქართველოს მასშტაბით. პროექტში მონაწილეობენ ქართველი, მათ შორის დამწყები შემსრულებლები, სახელმწიფო, მუნიციპალური და თბილისის ანსამბლები, რომლებიც ქართულ ხალხურ შემოქმედებას ბათუმელებსა და ბათუმის სტუმრებს 70 დღის განმავლობაში გააცნობენ.

***

გერმანიაში, ქალაქ ბერლინში მოღვაწე ჟურნალისტი, მწერალი და პოეტი – სანდრა ვერელი ბაღდათს ესტუმრა და მუნიციპალიტეტის მერს არჩილ გოგსაძეს შეხვდა. შეხვედრის მიზანი იყო ვლადიმერ მაიაკოვსკთან დაკავშირებული პროექტის გაცნობა, რომლის განხორციელებასაც ქალბატონი სანდრა ბაღდათში გეგმავს. როგორც ცნობილია, იგი ვლადიმერ მაიაკოვსკის შემოქმედებითაა და ინტერესებული და მისი სურვილია ყველას გააცნოს, რომ ეს გენიალური პოეტი საქართველოში, კერძოდ, ბაღდათში არის დაბადებული. სწორედ ამიტომ ქალბატონ სანდრას ვლადიმერ მაიაკოვსკის მშობლიურ ქალაქში სურს მოაწყოს „ეკო-არტ ფესტივალი“ სახელწოდებით „ბაღდათის ზეცა“ და მასში მონაწილეობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები მაიაკოვსკის მოღვაწეობით დაინტერესებული შემოქმედი ადამიანები მიიღებენ. პროექტის მიხედვით ბაღდათში, ორი კვირის განმავლობაში, პოეტები, მხატვრები და მოქანდაკეები სხვადასხვა სახის აქტივობას განახორციელებენ, მოეწყობა მასტერკლასები, ქუჩის მხატვრობა. საერთაშორისო ეკო -არტ ფესტივალმა შესაძლოა ტრადიციული სახე მიიღოს და ყოველწლიურად იმ ქალაქებში გაიმართოს, სადაც კი ვლადიმერ მაიაკოვსკის უმოგზაურია და უცხოვრია. მაისში ქალაქ ბერლინში ჩასულ ბაღდათის ფოლკლორულ ანსამბლ „საირმეს“ სწორედ ქალბატონი სანდრა და მისი ოჯახი მასპინძლობდა. იგი თავის მეუღლესთან – ლოთარ რანთან ერთად ბაღდათის რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის სახლს ეწვია და ანსამბლის რეპეტიციას დაესწრო. „საირმეს“ რეპერტუარითა და შესრულებით კმაყოფილმა ქალბატონმა სანდრამ რეპეტიციის ბოლოს ანსამბლთან სამომავლო ურთიერთთანამშრომლობაზე ისაუბრა.

***

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ინოვაციების ცენტრში 3 დღიანი ტრენინგ-კურსი „ფორუმ თეატრი“ გაიმართა. სასწავლო კურსის პირველი დღე იყო გაცნობითი ხასიათის, მეორე დღეს მოხდა „ფორუმ თეატრის“ტექნიკის ახსნა და მისი პრაქტიკაში გამოყენება, ხოლო მესამე დღეს ჩატარდა ადგილობრივი ღონისძიებისთვის მოსამზადებელი სესიები. ადგილობრივი ღონისძიება პროექტის შუა ეტაპია და გულისხმობს ტრენინგში ჩართული ახალგაზრდების მხრიდან თავიანთ თემში ფორუმ თეატრის გაკეთებას. პროექტის დასკვნითი ეტაპი კი გაიმართება თბილისში შემაჯამებელ კონფერენციაზე.

კრეატიული განვითარების ცენტრი, ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმოდგენლობის მხარდაჭერითა და ზრდასრულთა განათლების ქსელთან თანამშრომლობით, ახორციელებს პროექტს „სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში“. პროექტის მთავარი მიზანია სამიზნე რეგიონებში სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლება ინოვაციური მეთოდების, კერძოდ, კი „ფორუმ თეატრის“ გამოყენებით. „ფორუმ თეატრი“, ეს არის თეატრალური მეთოდოლოგია, რომელიც შეიმუშავა ბრაზილიელმა აუგუსტო ბოალმა და, დღესდღეობით, აქტიურად გამოიყენება სამოქალაქო განათლებასა და, ზოგადად, სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერებისათვის. ამ მიზნის მისაღწევად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან შეირჩა მონაწილეები, რომელთაც ეძლევათ შესაძლებლობა გაიარონ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი:

სამოქალაქო აქტივიზმი და „ფორუმ თეატრი“ როგორც ინოვაციური მეთოდოლოგია;

დაგეგმონ და განახორციელონ „ფორუმ თეატრი“ საკუთარ რეგიონში ადგილობრივ ახალგაზრდობასთან; წარმოადგინონ მიღწეული შედეგები შემაჯამებელ ღონისძიებაზე პროექტის დასასრულს.

***

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილი და სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ზურაბ ჩეკურაშვილი ბაღდათის მუნიციპალიტეტს სტუმრობდნენ და არჩილ გოგსაძესთან ერთად მოსახლეობას შეხვდნენ. შეხვედრა აზიურ ფაროსანასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა. კითხვა-პასუხის რეჟიმში იმსჯელეს მავნებელთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში არსებულ ვითარებაზე, სტუმრებმა ადგილობრივებს გააცვნეს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები და მოსახლეობას მოუწოდეს სახელმწიფოსთან ერთად თავადაც ჩაერთონ ამ პროცესებში – შეწამლონ თავიანთი ნათესები, თხილი და ხეხილის ბაღები.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი
საქართველო, ბაღდათი, ჯახიანის ქ. №3
ტელ: 595 538 536; 591 00 76 54
ელ ფოსტა: chemigazeti@gmail.com

რედაქტორი ანა ქორიძე
ტექნიკური რედაქტორი დავით ყიფიანი
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
მარიამ ოქროჭელიძე, ანჟელინა ჭავჭანიძე,
აზა მაშანეიშვილი, ნინო სახამბერიძე,
ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“